ხელშეკრულება №202/15
(საკუთარი სახსრები)

"4" სექტემბერი 2015 წ. ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

1.1."სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტისა და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) შპს „საქართველოს მელიორაცია" (მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6) მისი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი**) შპს "ბი ემ სი გორგია" მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის (ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #140; იურ. მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) სახით ურთიერთშეთანხმებისა და მოხსენებითი ბარათის N შ-1486 საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სამშენებლო და დამხმარე სამშენებლო მასალების (CPV 44100000) შეძენა; კერძოდ იატაკის საფარი (CPV 44112200) (იხ.დანართი 1).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება 257.95 (ორასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 95 თეთრი) ლარით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1.მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება 2015 წლის 4 სექტემბრიდან 2015 წლის 30 სექტემბრამდე.
4.2 შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი მიმწოდებლის მისამართიდან: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #140

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.
5.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება შპს „საქართველოს მელიორაციის" სამეურნეო სამსახურის ჯგუფის უფროსი ვახტანგ პაპავა.

6. გარანტია

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.
6.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი და ხარისხიანი და მისი ვარგისიანობის ვადა აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
6.3 . მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან სიტყვიერი და/ან წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ახლით შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შემოტანილი საქონლის მოწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვევულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1.ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 4 სექტემბრიდან 2015 წლის 31 ოქტომბრამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: სამეურნეო სამსახურის ჯგუფის უფროსი ვახტანგ პაპავა (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი პირი“).

13.2. ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ფუნქციებია:

13.2.1. გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

13.2.2. დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.

14. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

14.1.1.თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

14.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
14.3.1.თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
14.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
14.3.3.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.3.4. მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე რის შესახებაც ერთმანეთს აცნობებენ წერილობით სახით.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
15.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.
მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია”	**შ.პ.ს. ,, ბი ემ სი გორგია“**
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568	საიდენტიფიკაციო კოდი 245621288
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6	მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #140
	იურ. ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10
ს/ს საქართველოს ბანკი	ს/ს ,,ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100	ა/ა: GE93BR0000010251941452
გენერალური დირექტორი: **ლევან დვალი**	დირექტორი: **ხვიჩა პაპუნიძე**

2015 წლის 4 სექტემბრის
N202/15 ხელშეკრულების
დანართი N1

ფ ა ს თ ა ც ხ რ ი ლ ი

ლამინირებული პარკეტი აქსესუარებით

N	საქონლის დასახელება	კლასიფიკატორის კოდი (CPV)	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	ლამინატი G600 1219X199X8MM მწვანე ძირი	CPV 44112200	14.55 მ²	14	203.7	04.09.15-30.09.15	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #140
			ლამინირებული პარკეტის აქსესუარები				
2	ფიტინგი	CPV 44112200	15 ცალი	0.75	11.25	04.09.15-30.09.15	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #140
3	პლინტუსი 2.5მ		6 ცალი	5.55	33.3		
4	ლამინატის პარკეტის ქვეშ დასაფენი		14 კვ.მ	0.5	7		
5	გამჭედი დუბელი K6*35 კნაუფი		30 ცალი	0.09	2.7		
	სულ:				**257.95 ლარი**		

შენიშვნა: *საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.*

„შემსყიდველი“
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია“

გენერალური დირექტორი:
ლევან დვალი

„მიმწოდებელი“
შპს „ბი ემ სი გორგია“

დირექტორი: ხვიჩა პაპუნიძე